დასკვნა:**დ03. 3723359001**
თარიღი:**25/12/2023**

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო

კომისიის დ ა ს კ ვ ნ ა

2024 წლის საბიუჯეტო განაცხადის პროექტზე

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიამ მიმდინარე წლის 25 დეკემბერს განიხილა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტი.

წინამდებარე დასკვნის მომზადების პროცესში კომისიამ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო ბიუჯეტის მიმართ კომისიების, ფრაქციებისა და არასამთავრობო სექტორის მიერ წარმოდგენილი შენიშვნების, წინადადებების დ ა რეკომენდაციების გათვალისწინების თუ არგათვალისწინების ანალიზს. აღმოჩნდა, რომ მერმა გაითვალისწინა წარდგენილი შენიშვნების უმრავლესობა სრულად ან ნაწილობრივ მაინც.

კომისია აღნიშნავს, რომ ბიუჯეტის შესწორებული პროექტით 2024 წლის ბიუჯეტის მთლიანი მოცულობა მის პირველად ვარიანტთან შედარებით გაზრდილია 25,0 ათ ლარით და იგი 2023 წლისათვის დამტკიცებული ბიუჯეტის გეგმიური დონის 109,5%-ია.

_ბიუჯეტის შესწორებული პროექტის აღწერილობით ნაწილში და თანმხლებ მასალაში გასწორებულია ყველა ტექნიკური ხასიათის ხარვეზი. ამასთანავე ცალკეული პრიორიტეტებისა და ამ პრიორიტეტების ფარგლებში შემავალი ქვეპროგრამების მოცულობები თანხვედრაშია მოყვანილი;

_ პროგრამებში/ქვეპროგრამებში/ დამატებით გამოჩნდა საბიუჯეტო სახსრების გამოყენების შუალედური და საბოლოო შედეგების შეფასების ხარისხობრივი ინდიკატორები. მაგალითად, პროგრამა „წყლის სისტემის განვითარება“(020201);

-საბიუჯეტო განაცხადის დოკუმენტში წარმოდგენილ აღწერილობით ნაწილს მეტნაკლებად დაემატა საბიუჯეტო სახსრების გამოყენების მიმართულებები კონკრეტული ლოკაციების მითითებით. ასეთი კონკრეტული ლოკაციები წარმოდგენილია მაგალითად ქვეპროგრამა “კანალიზაციის ქსელის მოწყობა-რეაბილიტაცია“-ში(020203). თუმცა ანალოგიური კონკრეტიკა ნაკლებად გვხვდება „საგზაო ინფრასტრუქტურის ორგანიზების“ ქვეპროგრამაში.

_ქვეპროგრამა „გზების მოვლა-შენახვა“(პროგრამული კოდი 020101) წარმოდგენილია პროგრამული ბიუჯეტის მოთხოვნებთან შესაბამისობაში.

ამასთან ერთად აღწერილია ქვეპროგრამის მოსალოდნელი საბოლოო და შუალედური შედეგი, რომელიც იძლევა საშუალებას შედარდეს საბაზისო და მიზნობრივი მაჩვენებლები(მაგალითად, აღწერილია ორმულად შეკეთებული და შესაკეთებელი გზების ფართობი და მოცულობა, ცდომილების ალბათობა და რისკები).

_ ქვეპროგრამაში ,,სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა“ მოცემულია ღონისძიებების კონკრეტიზაცია.

_ცალკეული ქვეპროგრამის ფარგლებში გაზრდილი დაფინანსების პირობებში დაზუსტებულია აღწერილობითი ნაწილი, დაინტერესებული პირებისათვის უფრო მეტადაა გამჭვირვალე და გასაგები. მაგალითად, ქვეპროგრამა „ მოქალაქეთა სამედიცინო დახმარება“(060102);

_ გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის მიზნით, 2024 წლის ბიუჯეტის პროექტსა და 2024-2027 წლის პრიორიტეტების დოკუმენტში ასახული გენდერული ასპექტები წარმოდგენილია განმარტებითი ბარათის სახით.

_2024 წლის ბიუჯეტის პროექტში დედით ან მამით ობოლ სოციალურად დაუცველი სტუდენტებისათვის სწავლის საფასურის თანადაფინანსებისათვის ინიცირებულია ახალი ქვეპროგრამა(კოდი 040301), რომელიც ზრდის განათლების ხელმისაწვდომობას და ამასთანავე ამაღლებს სტუდენტთა მოტივაციას მაღალი აკადემიური მოსწრებისათვის.

_მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანის ინტენსივობისა და დასუფთავების სერვისის ეფექტიანობის ამაღლების მიზნით პროექტით იგეგმება ახალი ნაგავშემკრები კონტეინერების დამატება. ამასთან 2024 წლიდან ექსპლოატაციაში დამატებით ჩაეშვება სამი ერთეული ახალი ნაგავმზიდი მანქანა;

ყოველივე ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე კომისიამ იმსჯელა მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის შესწორებული ვარიანტის პროექტზე და მიზანშეწონილად მიიჩნია მისი დამტკიცება საკრებულოს სხდომაზე.

გელა ჩავლეშვილი

საფინანსო-საბიუჯეტო კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი